ხელშეკრულება № 4

ქ.თბილისი 7 თებერვალი 2011 წელი

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის 115-ე საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ზვიად ქადარიას სახით (შემდგომში წოდებული როგორც „მყიდველი") მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი,გლდანის VIII მ/რ, ტ. 24-74-50; 57-27-02

საიდენტიფიკაციო კოდი: 209472630

საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტბანკის გლდანის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101951

ანგარიშის № **GE47 PC00 4340 0100 0000 13**

და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი) შპს „საკანცელარიო სამყარო"

მისამართი: ქ თბილისი რობაქიძის №7 51 72 89

საიდენტიფიკაციო კოდი: 202335721

საბანკო რეკვიზიტები: თიბისი მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101850

ანგარიში: **GE58 TB1100000360200310**

### მუხლი №1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქონლის მოწოდება:

ქსეროქსის ქაღალდი -**DOUBLE 5** ყუთი

### მუხლი №2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი „საქონლის" საერთო ღირებულება განისაზღვრება ქვეყანაში არსებული საბაზრო ფასების მიხედვით და შეადგენს: **185(ასოთხმოცდახუთი) ლარს 00 თეთრს**

### მუხლი №3. ანგარიშწორების ვადები და სახეობა

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის უნდა მოხდეს „მყიდველის" მიერ უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის ღირებულების შესაბამისად.

### მუხლი №4. შესასყიდი საქონლის ხარისხი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია „მყიდველს" მიაწოდოს ბაზარზე არსებული სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი „საქონელი".

### მუხლი №5. საქონლის მიწოდების ვადები

5.1. „მიმწოდებლისაგან" საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს „მყიდველისათვის" მიღება-ჩაბარების აქტის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

### მუხლი №6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „საქონლის" მიღება-ჩაბარება შესრულებულად ჩაითვლება, როდესაც „მყიდველი" დროულად მოახდენს თანხის გადახდას და „მიმწოდებელი" შეასრულებს 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

### მუხლი №7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „მყიდველი" ვალდებულია 2.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხა 3.1. პუნქტით მითითებულ ვადებში გადაიხადოს.

7.2. „მყიდველის" უფლებაა 4.1. პუნქტში და 5.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება.

7.3. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებისა.

7.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს ვადაზე ადრე მიაწოდოს საქონელი „მყიდველს".

### მუხლი №8. პასუხისმგებლობა

8.1. „მიმწოდებელი" ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულია „მყიდველს" გადაუხადოს პირგასამტეხლო (საურავი) ყოველ გადაცილებულ დღეზე 2.1. პუნქტით განსაზღვრული თანხის 0.1% ოდენობით.

### მუხლი №9. ფორს – მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი არშესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეული იყო ფორს-მაჟორით, ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, საქართველოს მთავრობის ცენტრალური და ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შედეგად და თუ ვითარებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვადები გადაიწევს იმ პერიოდით, რა ხანგრძლივობითაც არსებობდა ასეთი ვითარება, თუ ასეთი ვითარება გაგრძელდება 2 კვირაზე მეტი ვადით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოთხოვოს ზარალის ანაზღაურება.

### მუხლი №10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2011 წლის 10 თებერვლამდე.**

### მუხლი №11. დავის გადაწყვეტის თანმიმდევრობა

11.1. ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდ გამომდინარე მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა მხარეთა შეთანხმება, იგი გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი №12. დამატებითი პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, თითოეული მხარისათვის და ორივეს გააჩნია თანაბარი ძალა.

„მყიდველი"

სსიპ 115-ე საჯარო სკოლის დირექტორი

/ზ.ქადარია/

„მიმწოდებელი"

შპს „საკანცელარიო სამყარო"

/თ.მირიანაშვილი/